ქ. თბილისში, კ. აფხაზის (ყოფ. ლესელიძის) ქ. №29-ში არსებული ტერიტორიისა და მიმდებარე განაშენიანების არქიტექტურულ-მხატვრულ თავისებურებათა შეფასება და ანალიზი

თბილისი

2014

ობიექტი, რომელიც ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს, მდებარეობს ქ. თბილისის ისტორიულ ნაწილში, კოტე აფხაზის ყოფ. ლესელიძის ქ. №29-ში.

უძველესი დროიდან თბილისი რამდენიმე განსაზღვრული უბნისაგან შედგებოდა. ქალაქის ძირითად ბირთვს ქმნიდა კალა, ისნი და ტფილისი, რომელთა ფარგლებშიც ვითარდებოდა ძირითადი ქალაქი. ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: "ხოლო ტფილისი არს სამი ქალაქი: ტფილისი, კალა, ისნი. ჰყოფს მტკვარი კალას, ტფილისს და ისნს: კალას უდის ჩრდილოით-აღმოსავლეთ, ტფილისს – ჩრდილოით და ისნს დასავლით". მოგვიანებით, 1807-1808 წლებში რუსი მოგზაური, კლაპროტი იმასვე ამბობს: "ტფილისი განიყოფება სამ ნაწილად: საკუთრივ ტფილისი ანუ ძველი ქალაქი, სადაც ცხელი აბანოებია, მტკვრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, უმნიშვნელო მცხოვრებთა რიცხვით; კალა ანუ ციხე, პირველი ნაწილის ჩრდილოეთით და მდინარის დასავლეთით, ქალაქის ყველაზე უფრო დასახლებული ნაწილი; დაბოლოს, გარეუბანი ისნი, რომელსაც ორი პირველი ნაწილისაგან ჰყოფს ერთადერთი ხიდი მდინარე მტკვარზე". აქედან კარგად ჩანს, რომ სახელწოდება "ტფილისი", იმავდროულად ქალაქის ერთ-ერთ უბანსაც აღნიშნავდა. ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს: "ხოლო აწ უწოდებენ ოთხავ ქალაქთა აწ ტფილისს და განყოფით: კალას ტფილისსა, ტფილისს – სეიდაბათს და ისნს – ავლაბარს, და გარეთ-უბანი არს ტფილისსა".

საინტერესოა, რომ თავდაპირველად სწორედ ცხელი წყლით განთქმულ ადგილს ერქვა ტფილისი, პირველი დასახლებაც აქ ჩასახულა. მემატიანე მოგვითხრობს: "აიყარა მეფე სპარსთა, და უკუდგა რუსთავად, და გამოვიდეს იგინი განთიად და დადგეს ველსა კალაისასა, რამეთუ ტფილისიცა და კალაიცა მოოხრებული იყო მაშინ" ("ქართლის ცხოვრება"). აქ ლაპარაკია თბილისის ორ ნაწილზე: ტფილისზე და გალავანშემოვლებულ კალაზე.

ჯერ კიდევ ფეოდალური თბილისის სრულყოფილად წარმოდგენაში, ჩვენამდე მოღწეული გრაფიკული მასალა გვეხმარება. მათ შორის მეტად საინტერესოა ფრანგი მგზაურის შარდენის თბილისის ჩანახატი და ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1735 წელს შედგენილი გეგმა, რომელზეც ციხე და ციხის მეიდანი აღნიშნულია. შიდა და გარე გალავნის კედლებში ქალაქის ჭიშკრებია დატანილი. სწორედ დაბალი ციხის გარშემო ჯგუფდება ქალაქის უმთავრესი ნაწილები, როგორიცაა სეიდაბადი და ქალაქის ცენტრი – კალა. ჯერ კიდევ ამ მასალაზე გარკვევით იკითხება ქალაქის მომავალი განვითარების ხაზები: ნარიყალა რჩება სილუეტურად ქალაქის მნიშვნელოვან დომინანტად, მაგრამ ის ქალაქის გეგმარების განმსაზღვრელი აღარაა. ამას ადასტურებს კალას

უმთავრესი ქუჩების მდებარეობა, რომელიც მდინარის პერპენდიკულარულად არის მიმართული.



1. თბილისის გეგმა შედგენილი ვახუშტი ბაგრატიონის მიერ. 1735 წელი



2. თბილისის პანორამა შარდენის წიგნიდან. 1671 წელი

ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემო, მხატვრულ-არქიტექტურული თვალსაზრისით ღირებული შენობათა საკმაოდ მაღალი კონცენტრაცია, თავად ქუჩის სიძველე განსაზღვრავს არამხოლოდ კონკრეტული მონაკვეთის, არამედ უბნის მაღალ მხატვრულ ღირებულებას. სწორედ ამჟამინდელი ლესელიძის ქუჩის დასაწყისში მდებარეობდა ქალაქის ერთ-ერთ მთავარი კარიბჭე "კოჯრის კარი". შესაბამისად ლესელიძის ქუჩას სტრატეგიული მდებარეობა მისი განაშენიანების ფუნქციურ ხასიათში გამოვლინდა: ერთმანეთის გვერდიგვერდ განთავსებული სხვადასხვა რელიგიების სამლოცველოები, ბაზრები, დუქნები თუ მცირე მოედნები ერთი მთლიანი მორფოლოგიით ხასიათდება, რაც უბნის კოლორიტსა და მომხიბვლელობას განსაზღვრავს.



3. ლესელიძის ქუჩა. საარქივო ფოტო. XX ს-ის დასაწყისი

კ. აფხაძის, (ლესელიძის ქ) №29-ში მდებარე მდებარე შენობა, სწორედ ამ ისტორიულ გარემოში მდებარეობდა, რომელიც XX ს-ის ბოლოსთვის უკვე აღარ არსებობა. საარქივო მასალის მიხედვით, მეტნაკლებად შესაძლებელია მისი პირველადი სახისა და სტრუქტურის აღდგენა.



4. ქ. თბილისის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რუკა

XIX ს-ის II ნახევრის თბილისის საარქივო ფოტოზე დაკვირვებისას, ნათლად იკითხება ლესელიძის ქუჩის განაშენიანება. ჩვენთვის საინტერესო ობიექტის იდენტიფიცირებისათვის, საორიენტაციოდ შესაძლებელია აფხაზის ქ.№34-ში მდებარე შენობა ავიღოთ, რომელიც ჯერ კიდევ პირველადი სახით ღია აივნებით არის წარმოდგენილი. მის წინ, კ. აფხაზის №33-ში მდებარე შენობის სახურავი მოჩანს, რომლის მომიჯნავეთაც მდებარეობს ჩვენი საკვლევი ობიექტი.

რაკურსსა და ფოტოს ხარისხის გამო, ცხადია შენობის დეტალები არ იკითხება, თუმცა ჩანს შენობის კონფიგურაცია - მცირე ჩიხის მხარეს გამომავალი ფასადის ორი ღიობი და ცალქანობა სახურავი. როგორც ჩანს შენობა, მიმდებარე განაშენიანების ფონზე, საგრძნობლად დაბალი იყოს, რასაც სახურავის გვერდით შენობების სახურავებთან მიმართება ადასტურებს.



5. ქ. თბილისის აარქივო ფოტო. XIX ს-ის ბოლო. დეტალი

XX –ის I ნახევრის ფოტოზე, I ნახევრის საარქივო ფოტოზე, სამწუხაროდ ზუსტად ჩვენთვის საინტერესო ობიექტის მონაკვეთია ჩამოჭრილი. თუმცა აქ ნათლად იკითხება ქარვასლის შენობა და კ. აფხაზის №33-ში არსებული ნაგებობა, რომელმაც მეტნაკლებად ავთენტური სახით მოაღწია დღევანდელ დღემდე.



6. ლესელიძის ქუჩა. საარქივო ფოტო. XX ს-ის დასაწყისი

ორსართულიანი, კ. აფხაზის ქ. №33-ში მდებარე შენობა, ძირითადი ფასადებით უჩასა და ნაწილობრივ მცირე ჩიხზე გადის. სწორედ ეს მცირე მონაკვეთია, რომელიც აღნიშნულ შენობასა და ჩვენს საპროექტო ნაგებობას შორის არის მოქცეული. შენობის ძირითადი მხატვრული გამომსახველობას, ქმნის ორივე მხარეს შეკიდული ხის შუშაბანდები, რომელიც ხის მოხარატებული მოაჯირით იმკობა. საარქივო ფოტოზე ჩანს, რომ აგურის შენობას ქუჩის მხარეს, შეკიდული აივანი ამშვენებდა, ხის ალათებითა და ვიტრაჟებით გაფორმებული. როგორც ჩანს, შუშაბანდი, მოგვიანო პერიოდში გადაუკეთებიათ.

კ. აფხაზის ქ. №29-ში მდებარე შენობა, ახალმშენებლობაა, მასშტაბური, საკმაოდ ტლანქი პროპორციით ხასიათდება, რომელიც განაშენიანების საერთო ხასიათიდან ერთგვარად ამოვარდნილია.



7. კ. აფხაზის, (ყოფ. ლესელიძის) ქ.№29

სწორედ კ. აფხაზის ქ. №33 და №29-ს შორის მოქცეულ მონაკვეთში მდებარეობს საპროექტო ტერიტორია. დღეის მდგომარეობით I და II სართულია კარკასი ნაწილობრივ ამოყვანილია. ტერიტორია ერთდროულად ეხსნება როგორც კ. აფხაზის ქუჩას, ასევე საკმაოდ დიდი ზომის შიდა ეზოს, რომელშიც რამოდენიმე დამოუკიდებელი ნაგებობა იყრის თავს.



8.9. კ. აფხაზის, (ყოფ. ლესელიძის) ქ.№29. შიდა ეზო

შესაძლოა, შენობები ძველი ნაფუძარზეა აგებული, თუმცა დღეის მდგომარეობით კაპიტალურად გამოიყურება. მათში მცირე ზომის სასტუმროებია განთავსებული. უნდა აღინიშნოს, რომ ნაგებობები, კორექტურლი მასშტაბითა და პროპორციით ხასიათდება, რაც არ აღვევს ეზოს საერთო სტრუქტურას.







10.11.12. კ. აფხაზის, (ყოფ. ლესელიძის) ქ.№29. საპროექტო მონაკვეთი

რეკომენდაცია

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია კ. აფხაზის ქ. №29-ში არსებულ ტერიტორიაზე ახალი ნაგებობის განთავსება.

საპროექტო მონაკვეთის მიმდებარე ტერიტორია, მიუხედავად მოგვიანო პერიოდის ჩარევებისა, მაინც ინარჩუნებს მხატვრულ-არქიტექტურულ სახეს. შესაბამისად ნებისმიერი სახის ჩარევა, როგორც ახალი მოცულობის გაჩენა, ასევე სარეკონსტრუქციო სამუშაოები უნდა განხრციელდეს დიდი სიფრთხილით. ახალი ნაგებობის მხატვრული სახის გადაწყვეტისას, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია მისი ადგილმდებარეობის „სპეციფიკურობა“, იგი კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მატარებელი ძეგლებითა თუ ზოგადად ისტორული ურბანული მეხსიერებით დატვირთულ ტერიტორიაზე განთავსდება, შესაბამისად, ახალმა მოცულობამ ანგარიში უნდა გაუწიოს უბნის ისტორიულად ჩამოყალიბებულ არქიტექტურულ იერ-სახეს და უბნის საერთო ურბანულ კონტექსტში მის აღქმადობას. უბნის ისტორიულ ქსოვილში ჩანერგილ ახალ შენობას მოეთხოვება, იყოს ნაკლებად აქტიური და თვალშისაცემი, იყოს "ფონური". ამდენად, ვფიქრობთ გასათვალისწინებელია შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- მიმდებარე განაშენიანებით დარეგულირდეს ახალი მოცულობის მასშტაბი/პროპორცია. ამ მხრივ სასურველია სწორება არ იქნას აღებული მიმოჯნავედ არსებულ კ. აფხაზის ქ. №29-სი განთავსებული შენობის ერთგვარად ტლანქ მოცულობაზე;
- შენობის საერთო სართულიანობა ასევე დარეგულირდეს მიმდებარე განაშენიანების საერთო სილუეტით;
- სასურველია შენარჩუნებულ იქნას, კ. აფხაზის ქუჩის მხარეს არსებული მცირე სივრცე;
- ქუჩის ფასადის მსგავსად, გააზრებულ და დამუშავებულ იქნას ჩიხის მხარეს არსებული ფასადიც.

და ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონაში, რაც კანონით განსაზღვრულ დაცვის რეჟიმს გულისხმობს. შესაბამისად, ახალი ჩარევა უნდა განხორციელდეს მეტნაკლებად უმტკივნეულოდ, რაც გარემოს სენსიტიურ აღქმასა და არქიტექტურულ ტაქტის გამოყენებას ითხოვს.

ხელოვნებათმცონე: თ. ღვინერია